

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №

— დეკემბერი, 2020 წელი

ქალაქი ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი
ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი)
დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის
№25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ
გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის №25 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების ახალი რუკა (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) ჩამოყალიბდეს ამ განკარგულებაზე თანდართული (გრაფიკული) სახით, თანახმად დანართისა.

2. წინამდებარე განკარგულება საჯარო გაცნობის მიზნით მისი ძალაში შესვლის შემდეგ საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.batumicc.ge).

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

განმარტებითი ბარათი პროექტის

სახელწოდება და სათაური

“ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ” ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 აპრილის N25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის მიზნით განკარგულების მიღება

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

“ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ” ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 აპრილის N25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის მიზნით განკარგულების მიღება. ცვლილების შეტანის ინიცირების საფუძველია შპს „ტრანზიტ ინდასტრი დეველოპმენტი“ს (ს/N400281869) დირექტორის გიორგი შოშიტაიშვილის 2020 წლის 19 მარტის N5958/25 განცხადება, რომლითაც განმცხადებელი ითხოვს ქ. ბათუმში მდებარე მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო კოდები: N05.32.06.177; N05.32.06.147; N05.32.06.171; N05.32.06.172 ფუნქციური ზონის ცვლილებას. დღეის მდგომარეობით აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს გამწვანებულ ზონას, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია გამწვანებული ზონის ინდუსტრიულ (ძველი სამრეწველო) ზონად ცვლილება; დაინტერესებული მხარის მიერ წარმოდგენილია დასაბუთება, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: აღნიშნული ტერიტორია ფაქტობრივად წარმოადგენს ინდუსტრიული (ძველი სამრეწველო) ზონის შემადგენელ ნაწილს, რომლის ძირითად ნაწილზე განთავსებული იყო სწორედ სამრეწველო დანიშნულების ობიექტი და ის შემოფარგლულია სხვადასხვა მძიმე და გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტებით. მიწის ნაკვეთების არსებული მდგომარეობა ვერ პასუხობს გამწვანებული ტერიტორიებისათვის დამახასიათებელ თვისებებსა და მდგომარეობას, ვინაიდან იქ დღეისათვის განთავსებულია სამშენებლო და სხვა მყარი ნარჩენები, ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილზე ნიადაგი დეგრადირებულია და ასეთი ზონისთვის არის გამოუსადეგარი, ხოლო მისი რეაბილიტაცია სარეკრიაციო ტერიტორიად მოითხოვს მნიშვნელოვან სახელმწიფო სახსრებს, რაც არსებული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მიზანშეუწონელია. სამრეწველო ზონაში განთავსებული სამრეწველო ობიექტების ძირითადი ნაწილი აშენებულია გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებში, ვერ პასუხობენ თანამედროვე მოთხოვნებს, ამასთან ისინი წარმოადგენენ კერძო საკუთრებებს და დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე შეუძლებელია მათი სწრაფი გადაიარაღება. როგორც ცნობილია, ბოლო წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარება მზარდია და მოითხოვს შესაბამის მხარდაჭერას როგორც ინფრასტრუქტურის ასევე თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სამრეწველო ობიექტების არსებობით. ასევე მნიშვნელოვანია ადგილობრივად წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების ზრდა.

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

“ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ” ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 აპრილის N25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის მიზნით განკარგულების მიღება.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) განკარგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: არ გამოიწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ქალაქგანვითარებისა და ურბანული
პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ

მამუკა რამიშვილი